ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N3

05.12.2017

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

12:00 საათი

ბიუროს სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 5 დეკემბერს, 12:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), მიხეილ ამაშუკელი (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), გიორგი მუსხელიშვილი (კომისიის წევრი), შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი) და დავით რურუა (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე, საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ზაზა ცინაძე და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები. სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 7 (შვიდი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა-გიორგი ჩაკვეტაძე.

სხდომის დღის წესრიგი:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტის განხილვა (12-031733421-03) (**მომხსენებელი** - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე, საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა);

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომა წარიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის, განათლებისა და კულტურის, გარემოს დაცვის, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიებთან ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე -ირაკლი ზარქუა.
სხდომის თავმჯდომარე მიესალმა კომისიის წევრებს და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის წარმოსადგენად სიტყვა გადასცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსს გაიოზ თალაკვაძეს.

მოისმინეს:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და 2017 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ ისაუბრა. პროექტით ბიუჯეტი შეადგენს 818,826.9 ათას ლარს, დაახლოვებით 13 000,0 ათასი ლარის გადანაწილება ხდება პროექტის მიხედვით, თუმცა ბიუჯეტის მთლიანი ცვლილება 20 000,0 ათასი ლარზე მეტია, აქედან 7 000,0 ათსი ლარი მთაწმინდის პარკთან დამაკავშირებელ საბაგიროს ეხება, რომელიც სამუშაოების გადადების გამო 2018 წლის ბიუჯეტში უნდა აისახოს. წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე ბიუჯეტში მოძიებული რესურსი გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი ქვეპროგრამის ასიგნებები: საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) 4,759.3 ათასი ლარით ვაგონების კაპიტალური შეკეთება-მოდერნიზაციის მიზნით; წყალსადენის ქსელის მოსაწყობის მიზნით იზრდება კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) 14,2 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) 350,0 ათასი ლარით ფონიჭალა 3-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოებისთვის; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 4 ოქტომბრის #37.09.714 განკარგულების შესრულების მიზნით, იზრდება დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) 3 000,0 ათასი ლარით; გზების მოვლა - შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) 22,0 ათასი ლარით.

2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების (კოდი 02 11) პროგრამის ფარგლებში ვაკის რაიონისათვის განკუთვნილი ასიგნებები იზრდება 8,7 ათასი ლარით სტიქიის შედეგად დაზარალებული ერთი პირისთვის საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად ფულადი დახმარების გასაცემად; თუნუქის სახურავებისა და ლიფტების მიმდინარე შეკეთების მიზნით, იზრდება შესაბამისად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) 170,0 ათასი ლარით და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 13) 40-ათასი ლარით.

ბენეფიციართა რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით იზრდება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის შემდეგი ქვეპროგრამები: აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია (კოდი 06 01 06) 377,0 ათასი ლარით; ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) 643,5 ათასი ლარით; ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება (კოდი 06 01 08) 140,0 ათასი ლარით; ,,c" ჰეპატიტის დიაგნოსტიკა (კოდი 06 01 12) 215,0 ათასი ლარით; ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) 1 000,0 ათასი ლარით; სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) 710,0 ათასი ლარით; უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (კოდი 06 02 06 02) 28,0 ათასი ლარით; უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (კოდი 06 02 06 03) 60,0 ათასი ლარით; უფასო სასადილოებით მომსახურება ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 14 07) 208,5 ათასი ლარით

(პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების წლის ბოლომდე მომსახურების უზრუნველსაყოფად); დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 16 11) 47,3 ათასი ლარით (სტიქიით დაზარალებულთა ქირების ასანაზღაურებლად); დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 16 15) 55,0 ათასი ლარით; დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 16 16) 8,0 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება (კოდი 06 02 22) 20,0 ათასი ლარით;

თბილისის რაიონებში მცხოვრები სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის საახალწლო ნობათების შესაძენად, არსებული რესურსების გათვალისწინებით, იზრდება სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში სულ 560,9 ათასი ლარით, მათ შორის: სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) 50,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) 17,6 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) 97,1 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) 66,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) 10,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) 20,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) 131,1 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 18 14) 64,3 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) 60,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) 44,9 ათასი ლარით;

2017-2018 ახალი წლის ღონისძიებების დაფინანსებისა და ქალაქისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, იზრდება კულტურის ღონისძიებები (კოდი 08 05) 300,0 ათასი ლარით.

სარეზერვო ფონდის (კოდი 10 22) მოცულობა იზრდება 270,0 ათასი ლარით. ასევე, იზრდება ისნის რაიონის გამგეობის (კოდი 10 33) ასიგნებები 10,0 ათასი ლარით კომუნალური და სხვა მიმდინარე ხარჯების დასაფარად.

მცირდება: სახელშეკრულებო, სატენდერო და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული ეკონომიების ხარჯზე გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) 505,4 ათასი ლარით; გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) 344,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) 60,0 ათასი ლარით, გზების მოვლა - შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) 26,9 ათასი ლარით, გზების მოვლა - შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) 150,0 ათასი ლარით; ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) 996,1ათასი ლარით; საპროექტო–საძიებო სამუშაოები, პროექტებისა და შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები და სხვა ხარჯები (კოდი 02 03 01) 120,9 ათასი ლარით; გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) 29,5 ათასი ლარით; სანიაღვრე ქსელის ექსპლოატაცია (კოდი 02 06) 19,9 ათასი ლარით; უკანონო ნაგებობების დემონტაჟი (კოდი 02 09 09) 22,4 ათასი ლარით; ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების ხელშეწყობისა და მოძრავი ქონების აღრიცხვა-რეგულირება (კოდი 02 09 08) 191,5 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) 60,0 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) 17,0 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) 56,4 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები

საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) 252,0 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) 60,0 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) 160,0 ათასი ლარით; გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) 575,0 ათასი ლარით; კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 08 11 02) 6,0 ათასი ლარით; კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 08 11 04) 8,0 ათასი ლარით.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) 1 315.0 ათასი ლარით, ვინაიდან არ შედგა ავტობუსის გაჩერებებისათვის ელექტრონული ტაბლოების შეძენა-მონტაჟი, ინსტალაციისათვის გამოცხადებული ტენდერი პრეტენდენტის არ შემოსვლის გამო, ამავე მიზეზით არ შედგა სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მიმართულების წინასწარი მაჩვენებლების დამზადება-მონტაჟის ტენდერი; მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (კოდი 01 02 03) 373,0 ათასი ლარით სამუშაოების ღირებულების დაზუსტების ხარჯზე, ასევე მ/სადგური „გოცირიძე"- საპროექტო სამუშაოების დაგვიანებით წარმოდგენის გამო ვერ გამოცხადდა ტენდერი კაპიტალური სამუშაოების დაწყებაზე; საბაგირო ტრანსპორტის განვითარება (კოდი 01 02 08) 7 471,2 ათასი ლარით, ვინაიდან სამუშაოები ჯერ არ დაწყებულა ტერიტორიის განთავისუფლების შეფერხების გამო.

ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (კოდი 02 07) 200,0 ათასი ლარით, ეკონომია წარმოშობილია ძეგლების მშენებლობისათვის გათვალისწინებული თანხიდან; საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძებები (კოდი 04 07 05) 109,8 ათასი ლარით, ეკონომია გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციების ბალანსების აუდიტორული შემოწმების მომსახურების შესყიდვა განხორციელდება მრავალწლიანი შესყიდვის ფორმით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) 50,0 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) 15,0 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) 205,0 ათასი ლარით; დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) 300,0 ათასი ლარით, ნაშთის არსებობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ პროგრამა გადავიდა ვაუჩერულ დაფინანსებაზე, შესაბამისად ზოგიერთი მიმწოდებელი კლინიკები ჩაერთვნენ ეტაპობრივად წლის შუა თვეებში; ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპია (კოდი 06 01 09) 0,2 ათასი ლარით;

ბენეფიციართა რაოდენობის კლების გამო მცირდება შემდეგი ქვეპროგრამების ასიგნებები: კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) 650,0 ათასი ლარით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04 01) 60,0 ათასი ლარით, 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 05) 10,0 ათასი ლარით, უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (კოდი 06 02 06 01) 30,0 ათასი ლარით, სერვის ცენტრებში სამგზავრო ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია) (კოდი 06 02 06 04) 80,0 ათასი ლარით, ომის ვეტერანების დახმარება (კოდი 06 02 10) 10,8 ათასი ლარით, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 15 07) 4,2 ათასი ლარით, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 15 08) 7,0 ათასი ლარით, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 15 10) 4,9 ათასი ლარით, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 15 11) 2,3 ათასი ლარით, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 15 14) 6,3 ათასი ლარით, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 15 16) 5,6 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა

საკომპენსაციო თანხები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 16 07) 9,3 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 16 08) 26,2 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 16 09) 94,4 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 16 10) 19,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ისნის რაიონში (კოდი 06 02 16 13) 39,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 16 14) 7,4 ათასი ლარით, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) 70,0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (კოდი 06 02 24) 200,0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 25) 100,0 ათასი ლარი, შინმოვლის თანადაფინანსება (კოდი 06 02 26) 18,0 ათასი ლარი;

ტენდერისა და ხელშეკრულების შესრულების შედეგად მიღებული ეკონომიებით მცირდება უფასო სასადილოებით მომსახურება ისნის რაიონში (კოდი 06 02 14 12) 42,0 ათასი ლარით, უფასო სასადილოებით მომსახურება სამგორის რაიონში (კოდი 06 02 14 13) 3,5 ათასი ლარით, უფასო სასადილოებით მომსახურება კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 14 14) 55,0 ათასი ლარით, უფასო სასადილოებით მომსახურება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 14 15) 7,3 ათასი ლარით; წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება გლდანის რაიონში (კოდი 06 02 20 01) 24,0 ათასი ლარით, ომის ვეტერანების დახმარება რაიონებში ქვეპროგრამის ასიგნებები ჯამურად მცირდება 36,2 ათასი ლარით, მათ შორის: ომის ვეტერანების დახმარება გლდანის რაიონში (კოდი 06 02 17 07) 12,5 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 17 08) 5,9 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 17 09) 2,7 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 17 10) 2,1 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება ვაკის რაიონში (კოდი 06 02 17 11) 5,3 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 17 12) 8,0 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება სამგორის რაიონში (კოდი 06 02 17 14) 7,5 ათასი ლარი;

სატენდერო სამუშაოებიდან მიღებული ეკონომიებისა და კაპიტალური ხარჯების დაზუსტების შედეგად მცირდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) 1 847,1 ათასი ლარით, მათ შორის: კეთილმოწყოის საქალაქო სამსახურისათვის განკუთვნილი ასიგნებებიდან 347,1 ათასი ლარი; ინტელექტუალური საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 01 01) 20,0 ათასი ლარით, ეკონომია გამოწვეულია სასკოლო ინიციატივების კონკურსში საჯარო სკოლების ნაკლები მომართვიანობისა და ინიციატივების სიმცირის გამო; უწყვეტი განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 07 05 01) 60,0 ათასი ლარით, ეკონომია გამოწვეულია ორგანიზაციების ნაკლები მომართვიანობის შედეგად; მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე (კოდი 07 06) 730,0 ათასი ლარით, ვინაიდან სასახლის შენობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, დაგვიანდა სამშენებლო- სამონტაჟო სამუშაოების განხორციელებისთვის ნებართვის გაცემა, რის შედეგადაც ვერ მოხერხდა გათბობა-გაგრილების სისტემის მონტაჟისთვის განკუთვნილი თანხის ათვისება; კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) 300,0 ათასი ლარით (ტენდერისა და ექსპერტიზის დასკვნის შედეგად მიღებული ეკონომია);

სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) 1 955,8 ათასი ლარით, მათ შორის: კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურისათვის

გათვალისწინებული ასიგნებები - რაგბის სპორტული კომპლექსის მშენებლობა 220,8 ათასი ლარით სახელშეკრულებო და სატენდერო ეკონომიის ხარჯზე, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურისათვის გათვალისწინებული ასიგნებები - ნაძალადევის სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები - 1 600,0 ათასი ლარით (პროექტი გაგრძელდება 2018 წელს), სატენდერო პროცედურებისა და ხელშეკრულების შესრულების შედეგად მიღებული ეკონომია 135,0 ათასი ლარი; ნაძალადევის რაიონის გამგეობა (კოდი 10 28) 11,0 ათასი ლარით; ვაკის რაიონის გამგეობა (კოდი 10 31) 15,1 ათასი ლარით; სამგორის რაიონის გამგეობა (კოდი 10 34) 53,7 ათასი ლარით; ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხის მომსახურება (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)) (კოდი 10 42) 165,7 ათასი ლარი, ეკონომია წარმოშობილია იმ მიზეზით, რომ სესხის საპროცენტო მომსახურება განისაზღვრება ათვისებული თანხის ოდენობით. განცხადა გაიოზ თალაკვაძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და მზაობა გამოთქვა კითხვების შემთხვევაში ამომწურავი პასუხების გაცემათან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - ,,კითხვა არ მაქვს საქალაქო სამსახურების წარმომადგენლებთან, იმიტომ, რომ მეტნაკლებად დეტალურად ვიცი ახალგაზრდული და სპორტული მიმართულებების შესახებ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები. მოგახსენებთ, რომ ახალგაზრდულ ნაწილში ცვლილება არ გახორციელდება დარჩენილ პერიოდში, თუმცა მიმდინარე სამუშაოები რომლებიც უკავშირდება სპორტულ კომპლექსის რებილიტაციას, სადაც ვერ მოესწრო თანხის გარკვეული ნაწილის 2017 წელს ათვისება, მიმაჩნია, რომ 2018 წელს ის მაქსიმალურად სწრაფად და ხარისხიანად უნდა დასრულდეს. ჩემი აზრით მსგავსი კომპლექსების მშენებლობა საჭიროა და დიდი იმედი მაქვს, რომ ახალ ბიუჯეტშიც იქნება გათვალისწინებული შესაბამისი საკითხი. აღნიშნული ასახავს მოსახლეობის მოთხოვნას, რომელიც რეალურად არსებობს და ჩვენი გუნდის წინასაარჩევნო განცხადებებშიც იყო გაჟღერებული".

სხდომის თავმჯდომარემ **კენჭისყრაზე დააყენა** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი. (მომხრე -გიორგი ჩაკვეტაძე, მიხეილ ამაშუკელი, ავთანდილ ცინცაძე, დავით ჭელიძე, გიორგი მუსხელიშვილი, შალვა ოგბაიძე, დავით რურუა; წინააღმდეგი - **0**, თავი შეიკავა - **0**);

ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" დადგენილების პროექტი გატანილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

გიორგი ჩაკვეტაძე